



**სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

99 კახეთის გზატკეცილი
0198 თბილისი, საქართველო
116 001
ncdc@ncdc.ge

06 მარტი 2024



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, დევნილთა, შრომის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ თამარ გაბუნას

ქალბატონო თამარ,

სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში- ცენტრი) განიხილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 26 – 27 მუხლების შესაბამისად შემუშავებული, საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში (დანართები 1010 -ათას ათი გვერდი), კერძოდ:

1. საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა;
2. ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა;
3. საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში;

მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხებზე ორჯერ გაიმართა საჯარო განხილვა, რომელშიც ცენტრმა ასევე მიიღო მონაწილეობა და გამოთქვა საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის მიერ მომზადებულ სკოპინგის დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებულია წინამდებარე სგშ-ის ანგარიშში. ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მეტი ყურადღება გამახვილდეს კლიმატის ზემოქმედებით განპირობებულ ცვლილებაზე, რომელიც გავლენას ახდენს წყლის რესურსების, მათ შორის, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობაზე. ასევე, თემების დონეზე შეიძლება გათვალისწინებული იყოს სასმელი წყლით მომარაგების საკითხები, როგორც სარგებლის მიღების ერთ-ერთი სახე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის აუცილებლობა ადრეულ ეტაპზევე, რაც უფრო სასარგებლოს გახდის ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისას, სარგებლის უფრო მეტ განაწილებას ადგილობრივი თემებისთვის და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრს შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მიმართ, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტური განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას, ენერგობიექტების ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და არსებულის განახლებას.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების
დარგში
პაატა იმნაძე

ხელმოწერილია/
შტამპდანიანი
ელექტრონულად

